ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და

საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი N 51

15 თებერვალი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

14:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

თინათინ ნიბლოშვილი

ანა ლაშხი

გულია გოცირიძე

ზაზა მამალაძე

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა, სხდომას ესწრებოდნენ ისტორიკოსები

ჯაბა სამუშია

ოთარ ჯანელიძე

ალექსანდრე დაუშვილი

მირიან ხოსიტაშვილი-პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

მიხეილ ამაშუკელმა დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში დიმიტრი ბაქრაძის II შესახვევისთვის საქართველოს სახალხო არტისტის, კინორეჟისორის გიორგი შენგელაიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავჭალის რკინიგზის სადგურისთვის ქართველი სამხედრო მოღვაწის ვლადიმერ გოგუაძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოფილე ჩოჩუას ქუჩისთვის საქართველოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ექვთიმე სართანიას ქუჩისთვის იუნკერი პლატონ დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დავით კაჭარავას ქუჩისთვის იუნკერის ალექსანდრე ახვლედიანის სახელის მინიჭების შესახებ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ამაშუკელმა კომისიის წევრებთან ერთად განიხილა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი. კომისიის წევრებმა მოისმინეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

1. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში დიმიტრი ბაქრაძის II შესახვევისთვის საქართველოს სახალხო არტისტის, კინორეჟისორის გიორგი შენგელაიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით ცნობილია, გასული წლის 17 თებერვალს გარდაიცვალა კინორეჟისორი და სცენატრისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი შენგელაია. მისმა ფილმებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა მსოფლიო მასშტაბით და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული კინოს, როგორც ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის განვითარებაში. საკითხის ინიციატორია საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, ვინაიდან კომისიის სახელდების წესის თანახმად გეოგრაფიული ობიექტის სახელდება ხორციელდება პირის გარდაცვალებიდან 20 წლის გასვლის შემდეგ

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას საჭიროდ მიაჩნია გიორგი შენგელაიას ღვაწლის სათანადოდ დაფასების მიზნით ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი. გეოგრაფიული ობიექტის შერჩევის პროცესში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ იხელმძღვანელა კინორეჟისორის შემოქმედებით. თბილისის ურბანულ გარემოში გიორგი შენგელაიას სახელობის ქუჩა ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს, თუ ის იქნება მთაწმინდის რაიონში, ვერაზე. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ შეისწავლა მთაწმინდის რაიონში დიმიტრი ბაქრაძის ქუჩის II შესახვევის მდებარეობა და გავრცელების არეალი. მივიჩნევთ, რომ ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით გამართლებული იქნება შესახვევის ქუჩად ჩამოყალიბება.

აზრი გამოთქვა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ალექსანდრე დაუშვილმა. იგი დაინტერესდა, შეთანხმებული იყო თუ არა გიორგი შენგელაიას ოჯახთან აღნიშნული საკითხი, რის შესახებაც დადებითი პასუხი მიიღო.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

მომხრე - ექვსი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა არცერთი.

გადაწყვიტეს: მთაწმინდის რაიონში დიმიტრი ბაქრაძის II შესახვევს მიენიჭოს საქართველოს სახალხო არტისტის, კინორეჟისორის გიორგი შენგელაიას ქუჩის სახელი.

2. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავჭალის რკინიგზის სადგურისთვის ქართველი სამხედრო მოღვაწის ვლადიმერ გოგუაძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით, როგორც ცნობილია მიმდინარე წლის ოებერვალში რუსეთის არმიის მიერ საქაროველოს გასაბჭოებიდან სრულდება 100 წელი. კომისიამ საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 2018 წელს ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული ქიროვხებების სახელობის ქუჩებს დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე ხელმომწერ საზოგადო მოღვაწეთა სახელები მიანიჭა. ხსენებული ტრადიციის გაგრძელება და საქართველოს გასაბჭოების წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების სახელების უკვდაყოფა მნიშვნელოვანია თავისუფალი და თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობაში.

კომისიამ ერთხმად გადაწყვეტილება, რომ გლდანის რაიონში, ავჭალის რკინიგზის სადგურს მიენიჭოს ქართველი სამხედრო მოღვაწის ვლადიმერ გოგუაძის სახელი, რომელიც საქართველოს სახალხო გვარდიის ჯავშნოსანი მატარებლის მეთაური იყო. მას ჰქონდა რესპუბლიკის გმირის წოდება, მისი ხელმძღვანელობით ქართველებმა შეძლეს საუკუნის წინ რუსეთის საბჭოთა არმიის ავჭალიდან განდევნა და ავჭალის რკინიგზის სადგურის დაკავება.

აზრი გამოთქვა მოწვეულმა სტუმარმა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა. მან ისაუბრა ვლადიმერ გოგუაძის ღვაწლის შესახებ. მან აღნიშნა რომ სწორედ რკინიგზის სადგურისთვის ვლადიმერ გოგუაძის სახელის მინიჭება არის თემატური და მოიწონა კომისიის გადაწყვეტილება.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მომხრე - ექვსი

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: გლდანის რაიონში, ავჭალის რკინიგზის სადგურს მიეწიჭოს ქართველი სამხედრო მოღვაწის ვლადიმერ გოგუაძის სახელი.

3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოფილე ჩოჩუას ქუჩისთვის საქართველოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციით, ეს საკითხი არის ერთგვარი პოლიტიკური აქტი, რადგან ქუჩა, რომლის სახელის ცვლილებაც ხორციელდება, ატარებდა რევოლუციოური მოძრაობის აქტიური მონაწილის თეოფილე ჩოჩუას სახელს და დღეს 100 წლის შემდეგ ამ გადაწყვეტილებით ხდება სამართლიანობის აღდგენა ამ ფორმით.ყველა ცვლილება, რომელიც შემოთავაზებულია, იქნება შემორჩენილი ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული სახელწოდებები.

აზრი გამოთქვა ისტორიკოსმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ჯაბა სამუშიამ. მან დადებითი შეფასება მისცა ძველი საბჭოური ნომენკლატურის ქუჩების სახელების ცვლილებას. ასევე საკითხის გარშემო ისაუბრა ისტორიკოსმა ოთარ ჯანელიძემ.მან აღნიშნა რომ კონსტანტინე ანდრონიკაში იყო ღირსეული პიროვნება და უპრიანია მისი სახელობის ქუჩა არსებობდეს თბილისში.მან ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა შექმნილიყო ისტორიკოსთა ჯგუფი, რომელიც რეკომენდაციების დონეზე მისცემდა მიმართულებას კომისიას.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს.

მომხრე - ექვსი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, თეოფილე ჩოჩუას ქუჩას მიენიჭოს საქართველოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის სახელი.

4. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ექვთიმე სართანიას ქუჩისთვის იუნკერი პლატონ დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით, კომისიაში შემოსულია ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალის დამფუძნებლის იოსებ ჭონქაძის წერილი, რომლითაც ითხოვს თბილისის რომელიმე ქუჩებს მიენიჭოს იუნკერების პლატონ დოლიძის და ალექსანდრე ახვლედიანის სახელები.

კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. ქუჩა, რომლის სახელის ცვლილებაც ხორციელდება, ატარებდა აქტიური რევოლუციონერის, ექვთიმე სართანიას სახელს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუნკერთა სამხედრო სასწავლებლის იუნკერის პლატონ დოლიძის სახელების მინიჭებით ღირსეული პატივი მიეგება მის ხსოვნას, რომელიც 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ტერიტორიული მთლიანობისთვის ბოლშევიკების არმიასთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

აზრი გამოთქვა მირიან ხოსიტაშვილმა. მან დადებითად შეაფასება იუკერების სახელების ძიხიჭებას თბილისის ქუჩებისთვის.

კომისიის წევრებმა აღნიშნულ საკითხს კენჭისყრით მხარი დაუჭირეს.

მომხრე -ექვსი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ნაძალადევის რაიონში, ექვთიმე სართანიას ქუჩას მიენიჭოს იუნკერი პლატონ დოლიძის სახელი

5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დავით კაჭარავას ქუჩისთვის იუნკერის ალექსანდრე ახვლედიანის სახელის მინიჭების შესახებ

მოისმინეს: მიხეილ ამაშუკელის ინფორმაციით, ეს საკითხი, ისევე როგორც პლატონ დოლიძის სახელის მიჭების საკითხი, მოითხოვა იოსებ ჭონქაძემ. ვიბაიდან დავით კაჭარავა, ვისი სახელის ცვლილებაც უნდა განხორციელდეს, იყო საქართველოს კომკავშირის

ერთ-ერთი ორგანიზატორი, კომისიამ განიხილა აღნისნული საკითხი და დადებითი რეკომენდაცია გაუწია დავით კაჭარავას ქუჩას გადაერქვას სახელი და მიენიჭოს იუნკერის ალექსანდრე ახვლედიანის სახელი, რომლიც ასევე 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ტერიტოტიული მთლიანობისთვის ბოლშევიკების არმიასთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა თბილისის მისადგომებთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეხუთე საკითხი.

მომხრე - ექვსი.

წინააღმდეგი - არცერთი.

თავი შეიკავა - არცერთი.

გადაწყვიტეს: ისნის რაიონში, დავით კაჭარავას ქუჩას მიენიჭოს იუნკერი ალექსანდრე ახვლედიანის სახელი.

მიხეილ ამაშუკელმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

მიხეილ ამაშუკელი